04/11/2025

MES 3 25 0001448860

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.10.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 18:55
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
7. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

8. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** -შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
13. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
15. **ვლადიმერ ადეიშვილი** -სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.

მოწვეული საბჭოს წევრები:

1. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. **კახაბერ ჩიხრაძე** - შპს „ამერიკული ჰოსპიტლის“ თბილისის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;
3. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
4. **ნინო გაგუა** - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ სტუდენტი
5. **კახაბერ ვანიშვილი** - შპს „ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის“ დირექტორის მოადგილე;
6. **დავით თოთაძე** - შპს „ჯეო ჰოსპიტალსის - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი;
7. **ზვიად კირტავა** - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი;
8. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
10. **დავით კობეშავიძე** - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;
11. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

12. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი:

1. აკაკი ჭელიძე - რექტორი,
2. ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო - ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, უნივერსიტეტის დამფუძნებელი;
3. დიმიტრი გეგენავა - პრორექტორი;
4. ნათია შეყილაძე - კანცლერი;
5. ნინო წიქვაძე- ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
6. ჯილდა ჭეიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
7. თინათინ ფეიქრიშვილი - იურისტი;
8. ლელა ვარდიძე - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
9. თამარ შარაშენიძე - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
10. სალომე ახვლედიანი - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
11. ხათუნა ცომაია - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
12. ნინო კასრაძე - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:
1. თამთა კუპრაძე - პროგრამების ხელმძღვანელი;
2. ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
3. თამარ ტუფინაშვილი - აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი;
4. თამარ გვიანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. მარიამ გორგოძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;

აკრედიტაციის ექსპერტები:

მუჰამედ ჰუსამალდინ აჰმედ ჰამდი ალსაიედი (Mohamed Husamaldin Ahmed Hamdi Alsayed
თამარ ვალიშვილი
აკაკი ბარკალაია
მელიტა მელიქიშვილი
ვასილ კიკუტაძე

თამაზ უზუნაშვილი
ელენე ჯღარკავა
ია ნაცვლიშვილი
სოსო გაზდელიანი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,მონაცემებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგის" სამაგისტრო და „ციფრული მარკეტინგის“ სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,მონაცემებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგის" სამაგისტრო და „ციფრული მარკეტინგის“ სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის დასახელება: მედიცინა
საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0912 მედიცინა
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 360
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ჯილდა ჭეიშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ პანელმა შეაფასა სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა და ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულება მოწოდებულია, რომ მხარი დაუჭიროს აღნიშნულ პროგრამას. მას აქვს სტრუქტურირებული რესურსები, სასწავლო გეგმა, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს. ექსპერტი იმედოვნებს, რომ პროგრამა განხორციელების შემდეგ იქნება წარმატებული, თუმცა რადგან პროგრამა ახალია უმჯობესი იქნება მისი შეფასება მოხდეს ერთი ან ორი წლის შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტების მიერ გაცემულ მეორე და მესამე რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულია 1.3 კომპონენტში. ასევე - მეექვსე რეკომენდაციასა და მეთვრამეტეს. დაწესებულება იზიარებს პირველ რეკომენდაციასაც, თუმცა რჩევის სახით. ის მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი რეკომენდაციის ნაწილში. პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ შეფასების სისტემა იგივე აქვს ამ პროგრამას, რაც აქვს ყველა სხვა დანარჩენ პროგრამას მედიცინის მიმართულებით რაც კი არსებობს საქართველოში. მეშვიდე რეკომენდაციასაც იზიარებს უნივერსიტეტი, თუმცა რჩევის სახით, რადგან ტრენინგები მუდმივად სჭირდება პერსონალს. ეს რეკომენდაციის სახით მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ არ იქნებოდა დაწესებულებაში, თუმცა არის და უნდა გაუმჯობესდეს. ანალოგიურია მეათე რეკომენდაცია, რომელშიც მოცემულია, რომ სილაბუსებში უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს საკითხები, რასაც ვერ იზიარებს დაწესებულება. ასევე, მეთხუთმეტე რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს პერსონალის ზრდას. ვერ იზიარებს დაწესებულება აღნიშნულს, რადგან 20 სტუდენტზეა გათვლილი სამედიცინო პროგრამა და პერსონალი არის საერთო ჯამში 85, რომელთაგან პროფესორია 5, ასოცირებული პროფესორი - 25, ასისტენტ პროფესორი - 1, ასისტენტი - 7. აქედან აფილირებული არის 17 პერსონალი. დაწესებულება არ იზიარებს მეხუთე რეკომენდაციასაც, რომელიც გულისხმობს წლიური შედეგების ვებგვერდზე გამოქვეყნებას. ეს გულისხმობს შემაჯამებელ ანგარიშებსაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი რამ არც ერთ უნივერსიტეტს არ აქვს და ამას არც სტანდარტი ითვალისწინებს. გარდა ამისა აღნიშნულ სტანდარტში მაინც დაირღვევა პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა. შემდეგი ასეთივე რეკომენდაციაა მეცხრე

რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს კონკრეტულად კლინიკებთან ურთიერთობას, თუმცა კლინიკებთან ვალდებულების დადგენა არ არის საბჭოს უფლებამოსილების ფარგლები. რეკომენდაციის სტანდარტებს ეწინააღმდეგება ასევე მეთორმეტე რეკომენდაცია. აღინიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს მერვე რეკომენდაციასაც, რომელიც მისაღებ კონტინგენტს უკავშირდება.

ნინო კასრაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს 2 საკუთარი კლინიკა აქვს, ხოლო მემორანდუმი აქვს 20 კლინიკასთან და სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკები სწორედ კლინიკებში გაიარონ. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ამის საშუალებას იძლევა მათი რაოდენობა. კურიკულუმი დაფუძნებულია საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებზე. ხაზი გაესვა იმასაც, რომ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ხდება პერსონალის პროფესიული გადამზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტიდან ვიზიტი განხორციელდა პოლონეთის რამდენიმე უნივერსიტეტში, სადაც ჰქონდათ სამუშაო ვიზიტები თუ როგორ განხორციელებულიყო პროგრამა. ამ ურთიერთობით მიღებული გამოცდილებები უკვე ჩართულია აღნიშნულ პროგრამაში. გათვალისწინებულია მათი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მზია წიკლაურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა რატომ არის საკმარისი პატარა კლინიკები, მიუხედავად სტუდენტთა სიმცირისა, რადგან აუცილებელია მულტიპროფილურ კლინიკებთან თანამშრომლობაც. ასევე, აინტერესებდა თუ რა ტექნიკური ბაზაა ამ კლინიკებში და რატომ იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე ატვირთული გარკვეული დოკუმენტაცია და არა ქართულზე, როგორც თავად დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა.

ნინო კასრაძემ მემორანდუმებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს ისეთ კლინიკებთან, რომლებიც სრულად შეესაბამებიან დარგობრივ სტანდარტებს. მემორანდუმის სტრუქტურა არის დეტალურად გაწერილი დარგობრივთან და შემდეგ კლინიკა ადასტურებს თუ რამდენად არის მზად იმ პირობებისთვის, რაც მოცემულია მემორანდუმში.

ნინო კასრაძემ განმარტა, რომ მემორანდუმის დროს კლინიკისა და დაწესებულების წარმომადგენლები თითოეულ შემთხვევაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. შესაბამისად, უნივერსიტეტის საჭიროებებიდან და კლინიკის მზაობიდან გამომდინარე ხდებოდა შეთანხმება თუ რომელი კურსი უნდა განხორციელებულიყო მათ ბაზაზე, რამდენი სტუდენტი უნდა ყოფილიყო და ა.შ.

თამარ შარაშენიძემ აღნიშნა, რომ პოლისები ატვირთულია ქართულ და ინგლისურ საიტზე, ის შემუშავებულია პროგრამის დაწერის პერიოდში. ეს ყველაფერი დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ რაზეც აღინიშნა ატვირთვის შესახებ, ეს ეხებოდა მხოლოდ რჩევის ნაწილს. აქ საუბარი იყო დოკუმენტზე, რომლის ქონაც არ არის აუცილებელი.

ნინო კასრაძემ განმარტა, რომ სიმულაციურ ცენტრში არის 6 ოთახი, რაც ექსპერტებმა ნახეს თავად ვიზიტის დროს. ეს 6 ოთახი იძლევა საშუალებას ჩატარდეს 12 სადგურიანი ოსკის გამოცდა. მიკრობიოლოგიის სპეციალისტი ჩართული იყო მიკრობიოლოგიის ლაბორატორიების აწყობაში, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს. დაწესებულებას აქვს უსაფრთხოების წესებიც, რომლებიც გამოკრულია როგორც მიკრობიოლოგიის, ისე მიკროქიმიის ლაბორატორიებში.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ლაბორატორიები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. კლინიკების ჩამონათვალი კი მოცემულია დოკუმენტებში. მათ შორის კი მულტიპროფილური კლინიკები საკმარისზე მეტია.

თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს არანაირი შენიშვნა არ ჰქონიათ სიმულაციურ ცენტრებთან. ისინი ყველა იმ მოთხოვნას შეესაბამება, რაც სტანდარტშია მოცემული.
ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მისი შეკითხვა ეხებოდა პირველ, მეორე და მეხუთე სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებს სილაბუსის სისტემურ შეფასებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა რის საფუძველზე გაიცა ეს რეკომენდაციები, რადგან მსგავსი დაწესებულების დოკუმენტაციებში არ დასტურდება.
აკაკი ბარკალაიამ აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ახალია, ამიტომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაციები, რომ მომავალში გათვალისწინებული ყოფილიყო.
ზვიად კირტავამ კითხვით მიმართა ექსპერტებს. რეკომენდაციების რიცხვი, რომელსაც დაწესებულება არ ეთანხმება, არის საკმაოდ დიდი. მას აინტერესებდა, არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ თუ მოხდა რაიმე ცვლილება დასკვნაში.
თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პოზიცია გაუგებარია, რადგან რეკომენდაციები ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე. თანაც მთლიანობაში დასკვნა იყო პოზიტიური.
ხათუნა ზალდასტანიშვილმა აღნიშნა, რომ დიპლომამდე განათლების მახასიათებლები და მემორანდუმის პირობები არ რეგულირდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.
ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მათ მიერ გაჟღერებული ინფორმაციით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პერსონალის უმეტესობას გააჩნია ინგლისურენოვან სწავლებაზე სამი ან მეტწლიანი გამოცდილება, ან სერტიფიკატები. მას აინტერესებდა ექსპერტთა პასუხი, თუ რა რაოდენობას გულისხმობდნენ. ასევე, აინტერესებდა რამდენად გადახედეს და შეისწავლეს ექსპერტებმა პროგრამის სწავლის შედეგების რუქა და რამდენად გადის ის შესაბამის შედეგზე.
თამარ ვალიშვილმა განმარტა, რომ აკადემიურ პერსონალთან არანაირი შენიშვნა არ იყო. მეორე კითხვასთან დაკავშირებით კი ითქვა, რომ სწორედ ამაზე გაიცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს სწავლის შედეგები.
ლელა ვარდიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში აღნიშნულია, რომ პერსონალის უმეტეს ნაწილს სამ და მეტწლიანი გამოცდილება აქვს ინგლისურენოვანი სამუშაოსა და დანარჩენის აქვს სერტიფიკატი.
ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ დარგობრივ მახასიათებელში ოსკის გამოცდასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ უნდა იყოს 10 და მეტი სადგური. როგორც აღინიშნა, ფართი უნივერსიტეტში არის და უნდა მოხდეს მისი გადატიხვრა. მას აინტერესებდა დარგობრივი მახასიათებელი ხომ არ დაირღვეოდა ამით.
თამრიკო ვალიშვილმა აღნიშნა, რომ გამოყოფილია 12 სადგური, რომელიც უკვე მოწყობილია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:25 დასრულების დრო: 18:24

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:

ძირითადი საბჭო:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 1

მოწვეული საბჭო:
მომხრე - 8

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, მე-8 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. მეორე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,მონაცემებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგის" სამაგისტრო და „ციფრული მარკეტინგის“ სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი.

პროგრამის დასახელება: მონაცემებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგი
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მარკეტინგის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0414 მარკეტინგი და რეკლამა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

პროგრამის დასახელება: ციფრული მარკეტინგი
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მარკეტინგში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0414 მარკეტინგი და რეკლამა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თავმჯომარემ წერილობითი სახით წარადგინა ექსპერტთა დასკვნა. კლასტერში წარმოდგენილია მონაცემებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოიცავს 120 კრედიტს და ციფრული მარკეტინგის აღმასრულებელი პროგრამა, რომელიც მოიცავს 60 კრედიტს. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 და 23 ივლისს. ის წარიმართა კონსტრუქციულ თანამშრომლობით გარემოში. ჩატარდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შესწავლილ იქნა ინფრასტრუქტურა, ინსტიტუციური დოკუმენტაცია და მხარდამჭერი სერვისები. შესწავლის შედეგად ექსპერტთა გუნდი მიიჩნევს, რომ ორივე პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამებს ემსახურება კვალიფიციური მოწვეული და აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტი სტანდარტის შესაბამისად სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის ინფრასტრუქტურას, ციფრულ ინსტრუმენტებს და აკადემიურ რესურსებს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტების მხარდამჭერი კარგად სტრუქტურირებული სისტემა. ექსპერტთა გუნდმა გამოავლინა რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ, ციფრული და მონაცემებზე დაფუძნებული მარკეტინგის ინტეგრაცია, ინდუსტრიასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ძლიერი თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის საჭიროებებთან უწყვეტ შესაბამისობას, მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის ერასმუს მონდუსის ინიციატივით განხორციელებულ პროგრამებში სასწავლო გეგმის ინოვაციების თაობაზე, პროაქტიული მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებს არ გაუციათ რეკომენდაციები, ჩამოყალიბდა რამდენიმე რჩევა პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, გრძელვადიანი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად. სასურველია პროგრამის სტრუქტურაში სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვის შესახებ მეტი კონტენტის ჩართვა; იდეალურ შემთხვევაში - ცალკე სავალდებულო თუ არჩევითი კურსის სახით. კერძოდ: სასურველია განახლებულ სასწავლო რესურსებზე წვდომის გაძლიერება უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების სილაბუსებში ინტეგრირებით; სასურველია პოტენციური სტუდენტებისთვის შიდა მისაღები გამოცდების მინიმალური გამსვლელი ქულების დადგენა და მკაფიოდ გაცხადება; სასურველია, პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ამასთან ექსპერტთა გუნდმა სრულად გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეძლო ყველა იმ შესაძლებლობის წარმატებით წარმოჩენა, რაც გააჩნია უნივერსიტეტს. პროგრამა არის ახალი და ძალიან მნიშვნელოვანია რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. აკადემიური პერსონალის გაზრდის მიზნით ჩატარდა აკადემიური კონკურსი. ასევე ინგლისური ენის დადასტურება არის შესაძლებელი როგორც სერტიფიკატით, ისე ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით. რაც შეეხება საბიბლიოთეკო რესურსებს, ის არის მუდმივად განახლებადი, რადგან სწრაფად განვითარებადი დარია და საჭიროებს მუდმივ განახლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მეშვიდე რჩევის თანახმად სასურველია, პროგრამის შესაბამის სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის

რაოდენობის გაზრდა, სამაგისტრო ნაშრომების მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად. მას აინტერესებდა რამდენად არის ეს რჩევა და არა რეკომენდაცია და უქმნის თუ არა პროგრამას ეს ყოველივე მდგრადობას.
თამარ ღვინიაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი განხორციელდება სამი წლის შემდეგ. შესაბამისად ეს არანაირ პრობლემას არ უქმნის პროგრამის მდგრადობას. ასევე, ჩატარდა აკადემიური კონკურსი და ამაზე უკვე დაწყებულია მოშაობა.
თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, რომ ეს რჩევად გაიწერა, რადგან 2 წელი მათ არ დაჭირდებათ ამ სპეციალისტების აყვანა.
ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ შეფასდა პერსონალის სამაგისტრო ნაშრომებიც, რაც სრულებით შეესაბამება ყველა სტანდარტს.
ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა თუ რა კუთხით გეგმავდნენ სამეცნიერო კვლევების ჩატარებას.
ვასილ კიკუტაძემ განმარტა, რომ რადგან დარგი სპეციფიურია ორივე მიმართულება იქნება როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებული, თუმცა უფრო მეტად გამოყენებითზე იქნება აქცენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:46
დასრულების დრო: 18:50
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,მონაცემებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,მონაცემებზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს მიენიჭა სრული აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2031 წლის 31 დეკემბრამდე).

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მარკეტინგის“ სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მარკეტინგის“ სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა სრული აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2032 წლის 01 მარტამდე).

ყველა საკითხის დასრულების შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:55 საათზ ე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე